ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№17
(გაერთიანებული, განათლებისა და კულტურის კომისიასთან)

ქ. თბილისი; 30 მარტი, 2018 წ. 13:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ავთანდილ ცინცაძე
თინათინ ნიბლოშვილი
ქეთევან მამულაშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ელენე ოზაშვილი
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი - სერგო ბირკაძე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ადმინისტრაციის უფროსი - თამარ მათიაშვილი

საბურთალოს რაიონის გამგეობის იურიდიული განყოფილების უფროსი - სოფო კორკოტაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - გიორგი კიკვიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - მაკა ნასრაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი - მამუკა მუმლაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ბაჩო აბულაძე

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125^2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, ,,თბილისის ავტობუსების პროექტი - კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის პროგრამის" განხორციელების მიზნით გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების" თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

3. „ქ. თბილისში, ფონიჭალის დასახლების IV მიკრორაიონში კორპუსი N11-ში (საკადასტრო კოდი: 01.18.13.037.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 29 ნოემბრის N44.02.853 განკარგულების ცვლილების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

4. ,,განსაზღვრული მიწის ნაკვეთების ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაციის, გამიჯვნის და განსაზღვრული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისა და უსასყიდლო უზუფრუქტის შეწყვეტის შესახებ'' ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 4 აპრილის N 10.46.343 დადგენილების დანართი 4-ით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულების განწილვადების და აღნიშნულის შეუსრულებლობის გამო დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

6. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

7. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის“ (ს/კ 202056069) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა სერგო ბირკაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125^2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბატონმა სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125^2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესს.

მომხსენებლის თქმით, თბილისის მთავრობასა და შპს „სი-ტი პარკს" შორის 2007 წელს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125^2 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება მიენიჭა შპს „სი-ტი პარკს", ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზემოხსენებული დადგენილებით, ასევე დამტკიცდა საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან, ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „სი-ტი პარკს" შორის 2007 წელს გაფორმებული ხელშეკრულება, თბილისის

მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 13 მარტის განკარგულების საფუძველზე ცალმხრივად შეწყდა და იგი მიჩნეულ იქნა შეწყვეტილად 2018 წლის 10 აპრილიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 14 მარტის განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ და ტრანსპორტის საქალაქო სამსახურებს დაევალათ შესაბამისი ნორმატიული აქტ(ებ)ის მომზადება, რომელთა მიხედვით 2018 წლის 10 აპრილიდან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125[2] მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვრებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“.

ბატონმა სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ დადგენილების პროექტით გათვალისწინებული მკაცრი აღრიცხვის (საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმის ნიმუში, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ 2018 წლის 10 აპრილამდე, დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევისთვის, შპს „სი-ტი პარკის” მიერ შედგენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების აღსრულებას უზრუნველყოფს კვლავ შპს „სი-ტი პარკი” დღეს მოქმედი წესის შესაბამისად.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია დადგენილების პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად 64-ე მუხლის ,,ა“ პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,კ“ ქვეპუნქტის მითითება ვინაიდან, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 64-ე მუხლის ,,ა“ პუნქტის მიხედვით თბილისის საკუთარი უფლებამოსილებებია ამ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებები ხოლო, ამავე კოდექსის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,კ“ ქვეპუნქტის თანახმად, თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებას, ამ კანონით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების გარდა, აგრეთვე განეკუთვნება ამ კანონის მე-16, მე-17 და 64-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა ასევე მიუთითა, რომ დადგენილების სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ უნდა იქნეს საქართველოს ორგანული კანონის

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 161-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ვინაიდან აღნიშნული პუნქტი ეხება სამართლებრივი აქტების მოქმედებას გარდამავალ პერიოდში.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა სერგო ბირკაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, ,,თბილისის ავტობუსების პროექტი - კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის პროგრამის" განხორციელების მიზნით გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების" თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ბატონი სერგო ბირკაძის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - ქ. თბილისის საკრებულოს და აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქ. თბილისის მერიისთვის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სატრანსპორტო სფეროს განვითარება, რომლის ფარგლებშიც მოლაპარაკებები მიმდინარეობს ყველა შესაძლო დონორთან.

მომხსენებლის განმარტებით, 2016 წლის 11 მაისს საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის გაფორმებული სასესხო და საგრანტო შეთანხმების, EBRD-ს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებისა და EBRD-ს და შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" შორის გაფორმებული პროექტის განხორციელების ხელშეკრულების ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და EBRD-ს შორის იდება საგრანტო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, EBRD (დონორი ორგანიზაციის მეშვეობით) გამოყოფს გრანტს 280 000

(ორას ოთხმოცი ათასი) ევროს ოდენობით, ,,თბილისის ავტობუსების პროექტი - კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის პროგრამის" განხორციელების მიზნით.

მომხსენებელმა დასძინა, რომ აღნიშნული საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანია" გააფორმებს საკონსულტაციო ხელშეკრულებას კომპანია Mott Macdonald CZ, spol. S.r.o-სთან, ზემოხსენებული პროგრამის განხორციელების მიზნით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი" წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ადმინისტრაციის უფროსმა თამარ მათიაშვილმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, ფონიჭალის დასახლების IV მიკრორაიონში კორპუსი N11-ში (საკადასტრო კოდი: 01.18.13.037.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 29 ნოემბრის N44.02.853 განკარგულების ცვლილების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს „ქ. თბილისში, ფონიჭალის დასახლების IV მიკრორაიონში კორპუსი N11-ში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 29 ნოემბრის განკარგულებაში განხორციელებული ცვლილების საკითხის შეთანხმებას.

როგორც ქალბატონმა თამარ მათიაშვილმა განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის წერილების გათვალისწინებით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, 2017 წლის 29 ნოემბრის განკარგულებით მიიღო გადაწყვეტილება, ქ. თბილისში, ფონიჭალის დასახლების IV მიკრორაიონში კორპუსი #11-ში მდებარე არსებული ფართების, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, რომლებიც ხანგრძლივი დროით ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით, ხოლო აღნიშნული საკითხი დამტკიცებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის განკარგულებით.

საკითხის წარმომდგენმა ასევე განმარტა, რომ 2010 წელს აღნიშნული ქონება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირდა როგორც დასრულებული ობიექტი, თუმცა როგორც შემდგომში გახდა ცნობილი, კორპუსის მშენებლობა (ბოლო სართულები) ჯერ კიდევ გახლდათ დაუსრულებელი. ასევე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მოთხოვნითა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით (შუამდგომლობა წარმოდგენილი იყო აღნიშნულ კორპუსში არსებულ ყველა ბინაზე, მათ შორის დაუსრულებელ ბინებზე), განხორციელდა ზემოხსენებულ კორპუსში მცხოვრები დევნილი მოსახლეობისთვის იქ არსებული ფართების საკუთრებაში გადაცემა.

თამარ მათიაშვილმა დასძინა, რომ მოგვიანებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის წერილი, რომლითაც გამგეობამ ითხოვა იმ პირთა ნუსხიდან, რომლებსაც საკუთრებაში გადაეცათ აღნიშნული ქონება, გარკვეულ პირების: (ანა თოიძის, პაატა დანდურაშვილის და მარინე გაბოძეს) ამოღება, ვინაიდან, ისინი შეცდომით იყვნენ მითითებულნი ზემონახსენებ ნუსხაში.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს შეახსენა მის მიერ ერთ-ერთ სხდომაზე გაჟღერებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ადგილი ჰქონდა ზემოხსენებულ დაუსრულებელ კორპუსში, არარსებული ფართების (ჰაერის) დაკანონებას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ადმინისტრაციის უფროსმა **თამარ მათიაშვილმა** ქალბატონ ლილე ლიპარტელიანის საპასუხოდ განაცხადა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მონაცემებისა და სხვა დანარჩენი პროცედურული ნაბიჯების მიხედვით, საკითხი გახლდათ სამართლებრივად გამართული, ხოლო მას შემდგომ რაც გამოვლინდა აღნიშნული უზუსტობა, მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა დაუყონებლივ რეაგირებას აღნიშნული უზუსტობის გამოსწორების მიზნით.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა ქეთევან მამულაშვილმა მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, მომავალში რა კონკრეტული მექანიზმებით იქნება შესაძლებელი მსგავსი ტიპის დაუზუსტებელი ინფორმაციისა და ფაქტების თავიდან აცილება.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ადმინისტრაციის უფროსის განმარტებით, გამკაცრდება ადგილზე მონიტორინგის მექანიზმი, ასევე რაიონების გამგებლების მხრიდან წარმოდგენილ საკითხს დაეთმობა მეტი ყურადღება, ხოლო განმეორებით ხარვეზისა და უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში კვლავაც მოხდება დაუყოვნებლივი რეაგირება.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსგავსი ფაქტების თავიდან ასაცილებლად, მომავალში, აუცილებელი გახდება საკითხის მიმართ მეტი ყურადღების გამოჩენა.

ლევან ჟორჟოლიანმა გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ ვინაიდან, თბილისის ქონების პირდაპირი განკარგვის ან კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა თბილისის საკრებულოს თანხმობით, ხოლო, რადგან, „ქ. თბილისში, ფონიჭალის დასახლების IV მიკრორაიონში კორპუსი N11-ში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 29 ნოემბრის განკარგულების დანართით გათვალისწინებულ ნუსხაში მითითებულ პირთათვის უძრავი ქონების გადაცემის საკითხი შეთანხმდა „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლების IV მიკრორაიონში კორპუსი №11-ში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის №55 განკარგულებით, მიზანშეწონილია, თბილისის მთავრობის ზემოაღნიშნულ განკარგულებაში განხორციელებული ცვლილების პარალელურად ასევე, ცვლილება განხორციელდეს თბილისის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის #55 განკარგულებაშიც.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ შეიმუშავა „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლების IV მიკრორაიონში კორპუსი №11-ში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის №55 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელსაც წარმოადგენს დასკვნაზე დანართის სახით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ წარმოდგენილი საკითხი განხილულ იქნეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ დასკვნაზე დანართად წარდგენილი სამართლებრივი აქტის სახით.

მოისმინეს:

4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ადმინისტრაციის უფროსმა თამარ მათიაშვილმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ,,განსაზღვრული მიწის ნაკვეთების ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაციის, გამიჯვნის და განსაზღვრული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისა და უსასყიდლო უზუფრუქტის შეწყვეტის შესახებ'' ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 4 აპრილის N 10.46.343 დადგენილების დანართი 4-ით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულების განწილვადების და აღნიშნულის შეუსრულებლობის გამო დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

თამარ მათიაშვილის განმარტებით, საქმე ეხება შპს „ხულიგანას“-საქართველოს ერთიანობისთვის აფხაზეთის ომში მებრძოლი მიშა ქორიძის სახელობის რაგბის კლუბს, რომელიც 21 წელია არსებობს და ეწევა ბავშვებისა და ჭაბუკების სპორტულ ცხოვრებაში ჩართვასა და მათ აღმზრდელობით საქმიანობას. არსებული მომენტისთვის, კლუბის 7 ასაკობრივ ჯგუფში ირიცხება 200 წევრი. კლუბი არის საქართველოს უმაღლესი ლიგის პრიზიორი, აქ აღზრდილი მორაგბეები კი დროის სხვადასხვა პერიოდში იცავდნენ საქართველოს ეროვნული ნაკრების ღირსებას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ადმინისტრაციის უფროსის თქმით, ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 4 აპრილის დადგენილების და ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 30 აპრილის ბრძანების საფუძველზე ქალაქ თბილისში, ვერის პარკში მდებარე 1183 კვ.მ მიწის ნაკვეთი და ქალაქ თბილისში ვერის პარკის მიმდებარედ არსებული 32 კვ.მ მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით, 48 წლის ვადით, აღნაგობის უფლებით გადაეცა შპს „ გრატო მენეჯერს“ და შპს „სანის“ საფეხბურთო მოედნის მოწყობის და ორ სართულიანი შენობის განთავსების მიზნით.

საკითხის წარმომდგენმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 30 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე შპს „გრატო მენეჯერს“ და შპს „სანის“

მიეცა თანხმობა ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 4 აპრილის დადგენილების საფუძველზე აღნაგობის უფლებით გადაცემული, ზემოხსენებული მიწის ნაკვეთების აღნაგობის უფლება გადაეცა (დაეთმო) შპს „ხულიგანასთვის" შემდეგი პირობებით:

- ✓ ყოველწლიური აღნაგობის უფლების ღირებულება შეადგენს 37 665 (ოცდაჩვიდმეტი ათას ექვსას სამოცდახუთი) ლარს, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს თანაბარწილად, ყოველ 6 (ექვსი) თვეში ერთხელ, არაუგვიანეს ყოველი ექვსთვიანი პერიოდის გასვლის უკანასკნელი დღისა.

- ✓ ამასთან, აღნაგობის უფლების ღირებულების გადაუხდელობის ან გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლო განსაზღვრულია გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლები 1 ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველი ვადაგადაცილებულ დღეზე.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ 2014 წლიდან მსოფლიოში განვითარებულმა ეკონომიკურმა პრობლემების ფონზე შპს „ხულიგანა" ვეღარ ახერხებდა ბანკისგან აღებული ვალდებულებისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების ერთდროულად შესრულებას და 2015 წლიდან დაგროვებულმა, გადაუხდელმა აღნაგობის უფლების ღირებულებამ ჯამში შეადგინა 112 995 (ას თორმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარი, რომელსაც ასევე დაემატა გადასახდელი თანხის პირგასამტეხლო 64 441.75 (სამოცდაოთხი ათას ოთხას ორმოცდაერთი ლარი და სამოცდათხუთმეტი თეთრი), რომელიც იზრდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

თამარ მათიაშვილმა ასევე განაცხადა, რომ შპს "ხულიგანა"-მ წარმოადგინა აღნაგობის უფლების ღირებულების არსებული დავალიანების და პირგასამტეხლოს სრულად დაფარვის გეგმა და გამოთქვა მზადყოფნა, რომ დავალიანების დაფარვას დაიწყებს ზემოაღნიშნული გეგმის მიხედვით 2018 წლის მარტიდან და დაასრულებს 2024 წლის ნოემბერში. ამასთან, შპს „ხულიგანა" მზად არის დროულად დაფაროს, აღნაგობის პირობებით განსაზღვრული რაოდენობითა და პერიოდულობით მომავალი წლების აღნაგობის ყოველწლიური გადასახადი.

თამარ მათიაშვილმა დაამატა, რომ წარმოდგენილი პროექტი ასევე ითვალისწინებს ზემოაღნიშნული გეგმის მიხედვით, დავალიანების დაფარვის პერიოდში დაკისრებული პირგასამტეხლოს პატიებას.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტს სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-

2 პუნქტი, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

ბატონი ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ასევე უნდა მიეთითოს, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, საჯარო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით, დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, უფლებამოსილია განიხილოს, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემულ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების), მათ შორის, საინვესტიციო პირობის შეცვლის ან გაუქმების ან/და ფინანსური პირობის შეცვლის საკითხი და წინადადება გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგინოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. საბურთალოს რაიონის გამგეობის იურიდიული განყოფილების უფროსმა ქალბატონმა სოფო კორკოტაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული

ერთეულების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს.

ქალბატონმა სოფო კორკოტაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი ცვლილების მიხედვით, მოხდება გამგეობების უფლებამოსილებებში ერთ-ერთი უფლებამოსილების დამატება, რაც გულისხმობს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის პანდუსების, სპეციალური ამწეებისა და ლიფტების მონტაჟს.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, წარმოდგენილი პროექტის მიღება ხომ არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

ქალბატონი სოფო კორკოტაძის თქმით, პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან იმის გამო, რომ აღნიშნული ცვლილების განხორციელებისთვის საჭირო თანხების გადმოტანა მოხდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხელშეწყობის პროგრამისთვის განკუთვნილი თანხებიდან.

კომისიის თავმჯდომარის ბატონი ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თქმით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველ მუხლში სამართლებრივი აქტის სარეგისტრაციო კოდთან ერთად ასევე უნდა მიეთითოს მისი გამოქვეყნების თარიღი „16/01/2018“; ვინაიდან „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე ნორმატიული აქტის პროექტში მითითებული უნდა იყოს მონაცემები იმ ნორმატიული აქტის შესახებ, რომელშიც შეიტანება ეს ცვლილება, კერძოდ, ნორმატიული აქტის სათაური, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდი, ნორმატიული აქტის გამოქვეყნების თარიღი და სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა ბატონმა გიორგი კიკვიძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლის 23-ე ნაწილით გათვალისწინებული „შემოწმების აქტის“ ფორმის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას.

გიორგი კიკვიძის თქმით, საქარველოს კანონში - „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის თანახმად მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევისას სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება დაიწყება შემოწმების აქტის შედგენით. ასევე, კოდექსი ითვალისწინებს შემოწმების აქტის შედგენით სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყებას, როდესაც არ შესრულდება სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების პროცესში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ სამშენებლო ობიექტზე არსებული დარღვევების გამოსწორების მიზნით გაცემული რეკომენდაცია.

ბატონმა გიორგი კიკვიძემ დასძინა, რომ „შემოწმების აქტის“ ფორმის დღეს მოქმედი რედაქცია საჭიროებს ზემოხსენებული კანონის მოთხონათა შესაბამისობაში მოყვანას,

ვინაიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილებით დამტკიცებული „შემოწმების აქტის“ ფორმის დღეს მოქმედი რედაქცია ზემოაღნიშნული საფუძვლის არსებობისას, შემოწმების აქტის შედგენით სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყებას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტი უზრუნველყოფს მითითებული ხარვეზის აღმოფხვრას, ვინაიდან იცვლება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილებით დამტკიცებული „შემოწმების აქტის“ ფორმა, რომელსაც ემატება შემდეგი შინაარსის პუნქტები:

- ✓ „სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების პროცესში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ სამშენებლო ობიექტზე არსებული დარღვევების გამოსწორების მიზნით გაცემული რეკომენდაციის შეუსრულებლობისას.“

- ✓ „მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევისას.“

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარემ ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ სასურველია წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

რიგით მე-7 საკითხის განხილვას შემოუერთდა განათლებისა და კულტურის კომისია.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ მაკა ნასრაშვილმა კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის" (ს/კ 202056069) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის" ლიკვიდაციის თაობაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი ეხება „თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის" ლიკვიდაციას, რომლის ფუნქციას შეასრულებს იდენტური დანიშნულების მატარებელი, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი"

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის" ლიკვიდაციის შემდგომ, არავის ემუქრება სამსახურის გარეშე დარჩენის საფრთხე, ვინაიდან „თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე" ძირითადად დაკომპლექტებული გახლავთ ანსაბლ „რუსთავის" თანამშრომლებით, ხოლო აღნიშნულ სუბიექტებს ჰყავს ერთი და იგივე ხელმძღვანელი - ბატონი ანზორ ერქომაიშვილი.

მაკა ნასრაშვილმა ყურადღება გაამახვილა ასევე იმ გარემოებაზე, რომ „თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე" და საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი" ფინანსდებოდნენ როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ხოლო წარმოდგენილი ცვლილების შემდგომ მოხდება ანსამბლი „რუსთავი"-ს ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსება, რაც გამოიწვევს „თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლისთვის" განკუთვნილი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების გამოთავისუფლებას.

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარემ ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა ხაზგასმით აღნიშნა ის გარემოება, რომ „თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლისთვის"

განკუთვნილი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები ჩანაცვლდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსებით, რაც დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი საკითხი გახლავთ ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომლობის კარგი მაგალითი.

თამარ ტალიაშვილმა დასძინა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებით არამარტო შენარჩუნდება „თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის" ფუნქცია, არამედ ერთგვარად გაიზრდება მათი სტატუსი. ამასთანავე განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თქმით, მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ ადგილი არ ექნება შემოქმედებითი პროცესის წყვეტას.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა ლილე ლიპარტელიანმა

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი ნინო ჯალაღანია